ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის სხდომის

ოქმი N 14

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 11 დეკემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 27.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. ბაკალავრიატის 2019-2020 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარის შესახებ
2. საატესტატო კომისიისა და სტუდენტთა სამივლინებო კომისიის შემადგენლობათა დამტკიცების შესახებ
3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შესახებ
4. საფაკულტეტო კონფერენციის ვადებისა და საორგანიზაციო საკითხების შესახებ
5. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - ბაკალავრიატის 2019-2020 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარის შესახებ. ანკეტა-კითხვარი წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 1). საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ 2019 წელს გამოცხადებულია 900 აბიტურიენტის მიღება. კონტინგენტის გაზრდა მოხდა შარშანდელი განაწილების პროპორციულად. სხდომის თავმჯდომარემ შენიშნა, რომ ანკეტა-კითხვარი შედგენილია დაფინანსების ძველი წესის გათვალისწინებით. ამასთან, თებერვალში კვლავ იქნება მისი კორექტირების შესაძლებლობა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორი ა.გამყრელიძე დაინტერესდა 2018 წლის მისაღები კონტინგენტით. საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ შარშან გამოცხადებული იყო 815 ადგილი და შეისო 778 ადგილი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართი 1).

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - საატესტატო კომისიისა და სტუდენტთა სამივლინებო კომისიის შემადგენლობათა დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ ცვლილებები მოხდა ფაკულტეტის ადმინისტრაციაში - ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე გახდა დეკანის მოადგილე. ამიტომ, ის გახდება საატესტატო კომისიის წევრი თავმჯდომარის მოადგილის სტატუსით. მის მიერ გამოთავისუფლებულ ადგილს დაიკავებს გეოგრაფიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი გიორგი ბრეგვაძე. ასევე საჭირო გახდა სტუდენტთა სამივლინებო კომისიის შემადგენლობის განახლება, რადგან კომისიას გამოაკლდა ზოგიერთი წევრი. კერძოდ, საჭიროა ერთი პროფესორისა და ერთი სტუდნტის დამატება.

საბჭოს წევრებმა დაასახელეს პროფესორ ომარ მუკბანიანის და სტუდენტ ლუკა ონიანის კანდიდატურები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საატესტატო კომისიისა და სტუდენტთა სამივლინებო კომისიის განახლებული შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს საატესტატო კომისიისა და სტუდენტთა სამივლინებო კომისიის განახლებული შემადგენლობა. კერძოდ, საატესტატო კომისიას დაემატოს შემდეგი წევრები: საატესტატო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე, წევრი - ასისტენტ პროფესორი გიორგი ბრეგვაძე; სტუდენტთა სამივლინებო კომისიას დაემატოს პროფესორი ომარ მუკბანიანი და სტუდენტი ლუკა ონიანი.

3. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე საკითხი - საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ საუნივერსიტეტო სადისერტაციო კომისიის მუშაობის წესი ითვალისწინებს სხდომაზე დაცვის კომისიის დასწრებასაც. თუმცა, როგორც გამოიკვეთა, დაცვის კომისიის წევრები თავს არიდებენ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრთა შეკითხვებს. მეტიც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ რიგი ფაკულტეტებისა დაინტერესებულია, რათა შევიდეს ცვლილება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში და დაცვის კომისის დასწრება საბჭოს სხდომაზე სავალდებულო არ იყოს.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ გაიმართა მსჯელობა საბჭოს წევრთა შორის. საბჭოს წევრებმა მოუწოდეს ფაკულტეტიდან წარგზავნილ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრებს, პროფესორ ე.ნადარაიასა და პროფესორ ა.შენგელაიას, რომ მაქსიმალური დაინტერესება გამოიჩინონ, რათა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საჭოს მუშაობა არ გახდეს ფიქცია.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად ინფორმაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - საფაკულტეტო კონფერენციის ვადებისა და საორგანიზაციო საკითხების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან აღნიშნა, რომ საფაკულტეტო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტში თავმჯდომარის მოადგილის ადგილს დაიკავებს ფაკულტეტის დეკანის ახალი მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე. ქალბატონმა თამარმა საბჭოს წევრებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია კონფერენციის ჩატარების ვადების შესახებაც. კერძოდ, კონფერენცია ჩატარდება 2019 წლის 11-15 თებერვალს.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა მ.ხაჩიძემ. მან იკითხა, კვლავ სავალდებულოა თუ არა უმაღლესი კატეგორიის აკადემიური პერსონალისათვის კონფერენციაში მონაწილეობა, რაზეც საბჭოს თავმჯდომარისაგან დადებითი პასუხი მიიღო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ვადების, აგრეთვე საორგანიზაციო კომიტეტის ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ა) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდეს 2019 წლის 11-15 თებერვალს.

ბ) დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი (თავმჯდომარე);
2. ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე (მოადგილე);
3. დოქტორი რუსუდან ინწკირველი;
4. ასოცირებული პროფესორი თენგიზ კოპალიანი;
5. ასოცირებული პროფესორი მაგდა ცინცაძე;
6. ასოცირებული პროფესორი ნათელა არჩვაძე;
7. ასოცირებული პროფესორი ზაალ მაჭავარიანი;
8. ასისტენტ პროფესორი ცისანა გავაშელი;
9. ასისტენტ პროფესორი მარინა ქარჩხაძე;
10. ასოცირებული პროფესორი ირინა მოდებაძე;
11. ასისტენტ პროფესორი მარიამ ახალკაციშვილი;
12. ასისტენტ პროფესორი გიორგი ბრეგვაძე.

5. მიმდინარე საკითხები: დღის წესრიგის მეხუთე - მიმდინარე საკითხები. აქ განსახილველად გამოტანილი იყო ორი საკითხი:

ა) მათემატიკური განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პერსონალის დამტკიცების შესახებ;

ბ) სადოქტორო პროგრამა „გეოლოგიის" დოქტორანტების სადისერტაციო თემებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ.

ა) მოისმინეს: მათემატიკური განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პერსონალის დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. ქ-ნმა თამარმა საბჭოს წევრებს გააცნო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული მათემატიკური განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ თეიმურაზ ვეფხვაძის განცხადება, რომელშიც იგი ითხოვს ინსტიტუტის პერსონალის დამტკიცების საკითხის განხილვას ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სურს, რომ ფაკულტეტის საბჭომ სათანადო წერილით მიმართოს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის თანამშრომლების დაინიშვნის შესახებ შესაბამის თანამდებობებზე ერთი წლის ვადით, ანაზღაურების გარეშე. განცხადებაში ასევე მოცემული იყო მოკლე ინფორმაცია ინსტიტუტის თანამშრომელთა ძირითადი მოვალეობების შესახებ (იხ. დანართი 2).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭომ შუამდგომლობით მიმართოს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს იმის თაობაზე, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული მათემატიკური განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები დაინიშნონ შესაბამის თანამდებობებზე ერთი წლის ვადით, ანაზღაურების გარეშე.

ბ) მოისმინეს: სადოქტორო პროგრამა „გეოლოგიის" დოქტორანტების სადისერტაციო თემებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის სხდომის ოქმი (იხ. დანართი 3) და ითხოვენ დოქტორანტებისათვის ხელმძღვანელებისა და სამეცნიერო თემატიკის დამტკიცებას თანდართული სიის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადოქტორო პროგრამა „გეოლოგიის“ დოქტორანტების ხელმძღვანელები და სადისერტაციო თემები:

1. დოქტორანტი **ლევან იოსელიანი** - სადისერტაციო თემა: „აჭარის წყლის აუზის: მაგმური ქანების პეტროლოგია. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და გარემოს დაცვითი პრობლემები“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ბეჟან თუთბერიძე, პროფესორი ვაჟა ჭუმბურიძე.
2. დოქტორანტი **ალექსანდრე გვენცაძე** - სადისერტაციო თემა: „ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და შახდენიზის მილსადენების: სეისმოტექტონიკური ვითარება, საშიშროების და რისკის შეფასება“; სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი შოთა ადამია.
3. დოქტორანტი **კობა ხმალაძე** - სადისერტაციო თემა: „ აღმოსავლეთ ქვემო ბოლნისის საბადოს მეტალოგენია და მისი კავშირი მაგმატიზმთან და ტექტონიკასთან“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი შოთა ადამია.
4. დოქტორანტი **ირაკლი ჯავახიშვილი** - სადისერტაციო თემა: „დიზის სერიის რეგიონალური და კონტაქტური მეტამორფიზმი“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: აკადემიკოსი დავით შენგელია.
5. დოქტორანტი **დავით მაქაძე** - სადისერტაციო თემა: „ბექთაკარისა და ბნელი ხევის ოქრო-სულფიდური ეპითერმული საბადოების გეოლოგიური აგებულება, სტრუქტურა, პეტროლოგია და ოქროს გამადნების თავისებურებანი (ბოლნისის მადნიანი რეგიონი); სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი. ბეჟან თუთბერიძე, პროფესორი ვაჟა გელეიშვილი.
6. დოქტორანტი **ნინო კობახიძე** - სადისერტაციო თემა: „თრიალეთის ქედის აღმოსავლეთი ნაწილის პალეოცენ-ქვედაეოცენური ნალექდაგროვების აუზის სედიმენტოლოგია“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორები ენდი ვარსიმაშვილი და თამარ წუწუნავა, კონსულტანტი: ალფრედ უხმანი.
7. დოქტორანტი **ლევან ლომსაძე** - სადისერტაციო თემა: „კავკასიონის ნაოჭა სისტემის ყაზბეგი-ლაგოდეხის ზონის პლინსბახ-ტოარსული და აალენ-ბაიოსური ვულკანიზმის შედარებითი ანალიზი ალაზანგაღმა კახეთის რეგიონის მაგალითზე“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი კარლო აქიმიძე.
8. დოქტორანტი **დიმიტრი ტატიშვილი** - სადისერტაციო თემა: ჯავახეთის ზეგნის ლავებთან დაკავშირებული უხვდებიტიანი წყაროების რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ბეჟან თუთბერიძე, პროფესორი მარინე მარდაშოვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი